

2007 წლის 20 ივნისს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მიერ ჩატარდა მრავალათასიანი აქცია – ლოცვითი მსვლელობა – განათლების სამინისტროდან კანცელარიისაკენ. მსვლელობისას საპროტესტო მიტინგები ჩატარდა განათლების სამინისტროს, საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტისა და კანცელარიის წინ. გთავაზობთ მასალებს:



#### ანონსი

ა.წ. 20 ივნისს მოეწყო ლიტონიობა (ლოცვითი მსვლელობა) განათლების სამინისტროდან კანცელარიისაკენ, რომელიც მიმართულია გარყვნილების, ძალადობის, ნარკომანიისა და განათლების სამინისტროს უზნეო, ანტიმართლმადიდებლური რეფორმის წინააღმდეგ. აქცია დაიწყება დღის 12 სთ.-ზე ბრიფინგით განათლების სამინისტროსთან.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

კომენტარი მასმედიისათვის.

აქცია მიმართულია გარყვნილების, ძალადობის, ნარკომანიისა და განათლების სამინისტროს უზნეო, ანტიმართლმადიდებლური რეფორმის წინააღმდეგ, რომელიც ახორციელებს მოზარდი თაობის გარყვნის, ეროვნული ცნობიერების მოშლისა და ტრადიციების უარყოფის იდეოლოგიას. ჩვენ არ ვაყენებთ პოლიტიკურ მოთხოვნებს, მაგრამ ერთს აღვნიშნავთ, რომ ხელისუფლება შეიძლება გადაყვეს ბოკერიას, ლომაიასა და მათი გუნდის ანტიქართულ და ანტიმართლმადიდებლურ პოლიტიკას.

ჩვენ ასევე ვაპროტესტებთ უხამსობისა და ძალადობის ქადაგებას ტელევიზიებით, პორნოგრაფიის გავრცელებას ჟურნალ-გაზეთებით, ასევე იმ ანტიკონსტიტუციურ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებმაც მოუხსნა ყველა ბარიერი გარყვნილების გავრცელებას მასმედიით. ჩვენ ვაპროტესტებთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩვენი სარჩელის განხილვის, ასევე მარეგულირებელი კომისიის მიერ ქცევის კოდექსის მიღების გაჭიანურებას, რითაც ეს უწყებები, ნებსით თუ უნებლიედ, გარყვნილების გავრცელებას უწყობენ ხელს.

პროტესტის ფორმა არატრადიციულია, მოეწყობა ლიტანიობა, ლოცვითი მსვლელობა, ანუ ჩვენ გვაქვს ღვთის იმედი და მოვუწოდებთ საზოგადოებას, რომელიც ყველა ინტერაქტივით მხარს გვიჭერს ჩვენ და, მადლობა ღმერთს, ეწინააღმდეგება გარყვნილებას, რომ ლოცვით შეგვეწიოა ჩვენცა და თავის თავსაც – შევთხოვოთ ღმერთს, რათა თავიდან აგვაცილოს საზოგადოების დაცემა, განსაკუთრებით მოზარდი თაობის გახრწნა, მოგვაცილოს ისინი, ვინც ამისთვის ბოროტად იღწვიან.

ლოზუნგები:

შეწყდეს გარყვნილებისა და ძალადობის გავრცელება მასმედიით!

უზნეობა ძალადობისა და ნარკომანიის საწინდარია!

განათლების სამინისტრო – გარყვნილების იდეოლოგი!

დაუბრუნდეს სკოლას სალოცავი კუთხე!

ვგმობთ განათლების ანტიმართლმადიდებლურ რეფორმას!



### ძვირფასო თანამემამულენო!

ხელისუფლების იდეოლოგია თამამად შეიძლება შეფასდეს როგორც გარყვნილებისა და ძალადობის ხელშემწყობი. დაგეგმილი განათლების რეფორმით შეილახა უმრავლესობის უფლებები, აიკრძალა ჭეშმარიტი, სიყვარულისა და მშვიდობის რელიგიის – მართლმადიდებლობის არამც თუ სწავლება, არამედ სიმბოლიკაც – ჯვრები, ხატები, სალოცავი კუთხეები, ლოცვები სწავლის დაწყების წინ და დამთავრებისას. სამაგიეროდ ფართოდ გაუღეს კარი გარყვნილებას: განათლების სამინისტროს ინიციატივითა თუ ნებართვებით სკოლებში შეიტანეს მოზარდთა გამხრწნელი პორნოგრაფიული წიგნები, მაგ. „სიყვარულის ანა-ბანა“, რომელც 5-8 წლის ბავშვებს ასწავლის სექსს და უქადაგებს, რომ არ არის აუცილებელი ოჯახის შექმნა, უოჯახოდაც შეუძლიათ იყოლიონ შვილები; უფრო მოზრდილი ასაკის მოსწავლეებისათვის კი გამზადებულია წიგნები, რომლებიც უკვე ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას ეწევიან; სკოლებში, ასევე, შეიტანეს ბუკლეტები, რომლებიც მოზარდებს მოუწოდებენ, იყოლიონ სექსუალური პარტნიორი, ხოლო შემთხვევითი სექსისას გამოიყენონ პრეზერვატივი, თან ამ პრეზერვატივსაც უფასოდ ურიგებენ; სკოლის კედლებზე გააკრეს პლაკატები წარწერით: „ნუ გამოიყენებთ ნახმარ შპრიცს და ნუ გადააგდებთ მას ქუჩაში“, ანუ აფიქრებინებენ მოზარდებს, რომ უხმარით – შეიძლება, რაც ნარკომანიისაკენ ბიძგია; 24-ე სკოლაში გამოსცეს გაზეთის დამატება „სიყვარული და ... სექსი“, რომლითაც მოზარდებს უქადაგეს, რომ „სიყვარული ვნებაა, ვნება კი სექსი, სექსი კი უდიდესი სიამოვნება“, რომ თუ გოგოსა და ბიჭს ერთმანეთი მოსწონთ, „შეიძლება მათ შორის სექსი, არა აქვს მნიშვნელობა ასაკს“, რომ „დღესდღეობით 14-15 წლის ბავშვები სექსს ნატურში ახორციელებენ“, რომ „სექსი ასევე ბიზნესიც არის“ და ა.შ., და ეს უხამსობა ბავშვებში ფართოდ გაავრცელეს.

მავანთა უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივ ქმედებათა შედეგია მოზარდებში ძალადობისა და დანაშაულობის ზრდა. პარლამენტმა, რომელიც ბატონ ბოკერიას (იგივე თავისუფლების ინსტიტუტის) ნება-სურვილებს ასრულებს, ანტიკონსტიტუციური საკანონმდებლო ინიციატივებით საბოლოოდ მოშალა საზოგადოების მხრიდან ტელემუწყობლობისა და ნაბეჭდი პროდუქციის კონტროლის მექანიზმები, მწვანე შუქი აუნთო მედიის საშუალებებით ძალადობისა და გარყვნილების გავრცელებასა და პროპაგანდას. გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებითა და წარმოდგენილი ქცევის კოდექსით არამც თუ იზღუდება ტელესივრცეში ძალადობისა და გარყვნილების ჩვენება, არამედ საბოლოოდ კანონდება.

ამ ფონზე ცინიზმის გამოხატულებათა განათლების სამინისტროსა და სხვა უწყებების ინიციატივა მოსწავლეებზე პოლიციური კონტროლის დაწესებისა, სადამსჯელო სკოლა-

კოლონიების შექმნისა, პასუხისმგებლობის სიმძიმის მშობლებზე გადატანისა, რაც შეიძლება გახდეს მშობლების დაშანტაჟების დამატებითი მექანიზმი.

თავსმოხვეული იდეოლოგიის ლოგიკა ნათელია: საქართველო, როგორც მართლმადიდებლური, ზნეობაზე ორიენტირებული, განათლებული და თვითმყოფადი ქვეყანა უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა. ამისათვის კი ტაძრები უნდა დაინგრეს, მათ შორის ადამიანთა, განსაკუთრებით კი მოზარდთა სულებში ღვთის მიერ დაფუძნებული ტაძრები. გარყვნილი, არაეროვნული ცნობიერების მატარებელი ერი ადვილი დასამონებელია. გადამთიელი კი ნაკადად მოედინება და მავანთა ხელშეწყობით ნელ-ნელა ეპატრონება ჩვენს ქვეყანას, რაც ქართველებს მონებად და მოსამსახურებად გადაქცევას გვიქადის. საქართველო ქართველების გარეშე, ეკლესია მრევლის გარეშე – აი, ამ იდეოლოგიის ლოგიკა.

ბვირფასო თანამემამულენო, მოვთხოვთ ხელისუფლებას, შეცვალოს თავისი კურსი და იზრუნოს ზნეობრივი და ჯანსაღი მომავლისათვის, რათა თავიდან აიცილოს ღვთისა და ერის რისხვა. ჩვენ თუ გავჩუქდებით და ბოროტებას შევეგუებით, რისხვა მთელ ერს დაატყდება თავზე, რადგან „ღუმილით გაიცემა ღმერთი“, როგორც ამას წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი გვასწავლის.

**მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი**